# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

## ხელშეკრულება № 28

29.05.2014

ბოლნისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი (მის: ქალაქი ბოლნისი კოსტავას 8),წარმოდგენილი დირექტორის ა. შელიავას სახით (აქ და შემდგომში "დამკვეთი") და მეორეს მხრივ ი.მ ზ.ანსიანი (მის ქ. ბოლნისი სულხანსაბა ორბელიანის103) (შემდგომში „შემსრულებელი") შორის და მიღწეული იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

### 1 . ხელშეკრულების საგანი

1.1 „დამკვეთი" უკვეთავს, ხოლო "შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას შეასრულოს შემდეგი სახის მომსახურეობა 30 მაისს ბოლნისის რ-ნის ტურნირი „ბადრი გაბიძაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფრენბურთში მოსწავლეთა შორის „გოგონებში„ ტურნირის საბანკეტო მომსახურეობა. ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. (ხარჯთაღრიცხვა დანართი №1)

### 2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

### 3. შესრულებული სამუშაოს ვადა

3.1 „შემსრულებელი" მომსახურეობას შეასრულებს ამა წლის „30" მაისი.

### 4. შესასრულებელი სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესასრულებელი სამუშაო ჩაითვლება სრულად მიღებულად, მხარეების მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

### 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშწორებით, შესრულებულ მომსახურეობაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ. ანგარიშსწორების ანგარიშზე.

ანგარიშსწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში(ლარში)

## 6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 „დამკვეთი" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების თანახმად გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისთვის გადაუხადოს „შემსრულებელს" შესრულებული მომსახურეობის ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

6.2 „შემსრულებელი" ვალდებულია:

ა) დროულად შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევა.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება მოქმედებაში შედის ორივე მხარის ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2014 წლის 30 მაისის ჩათვლით.

## 9. დავების გადაწყვეტა

9.1 მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი სადავო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

9.2 თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს, მაშინ საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

## 10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულების ინსპექტირებას „დამკვეთის" მხრიდან განახორციელებს ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის დირექტორი ა. ბჟალავა

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, შეცვლა, შეწყვეტა.

11.1 „შემსყიდველს" შეუძლია შეუწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს თუ „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების პირობების დაფიქსირდება „მიმწოდებლის" პირგასამტეხლო შეუსრულებლობა, და გადაახდევინოს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.2 „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" დააკისროს პირგასამტეხლო ხარჯმაის შესრულების ვადის გადაცილებისას ყოველი დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ან/და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა „მიმწოდებელს" არ ათავისუფლებს 12.1 და 12.2 პუნქტებში დაფიქსირებული პირგასამტეხლოებისაგან.

11.4 „შემსყიდველს" შეუძლია ცვლილება შეიტანოს ხელშეკრულებაში ნებისმიერ დროს ორივე მხარის შეთანხმების შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ცვლის ხელშეკრულების ძირითად აზრს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ორ იდენტურ ეგზემპლარს, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

### რეკვიზიტები

„დამკვეთი"

ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი

ს/კ 225394702 ა/ა GE31LB0125150404340000

ს.ს. „ლიბერთი ბანკი" ბოლნისის ფილიალი

ბანკის კოდი LBRTGE 22

ხელის მოწერა და ბეჭედი

/ა. ბჟალავა/

„შემსრულებელი "

ი.მ. ზურაბ ანსიანი

ს.კ. 220101429 „ლიბერთი ბანკი" GE44LB0711102058166240

ბანკის კოდი LBRTGE22

ხელის მოწერა და ბეჭედი

ზ. ანსიანი

ი.მ. ,,ზ. ანსიანი,,

ს.კ. 220101429

29.05.2014წ

## ფასების ცხრილი

| კოდი | საქონლის დასახელება | განზ. ერთ | რაოდენობა | ერთ. ფასი | საერთო ფასი | მიწოდები ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 98300000 | საბანკეტო მომსახურეობა | მოთხოვნის შესაბამისად | | | 200 | ქ. ბოლნის |
| | | | | | | |
| | | | | | | სულ;200 |
| | | | | | | |

# შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების

# აქტი

ქ. ბოლნისი 30 მაისი 2014 წელი.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი:

ერთის მხვრივ ააიპ "ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექს"-ის დირექტორი ა. ბჟალავა (შემდგომში "დამკვეთი") და მეორეს მხვრივ ინდ. მეწარმე ზურაბ ანსიანი შემდგომში "შემსრულებელი" ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ "დამკვეთმა ჩაიბარა:

30 მაისს ბოლნისის რ-ნის ფრენბურთში ჩატარებული ტურნირის ხსოვნისადმე საბანკეტო მომსახურეობა, რომლის ღირებულებაა 200 (ორასი ლარი 00 თ.) ლარი.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები და შენიშვნები არ გააჩნიათ.

მიღება-ჩაბარება განხორციელდა 2014 წ 30 მაისი

"დამკვეთი"

ააიპ "სსსდ სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის

დირექტორი: ა. ბჟალავა

"შემსრულებელი"

ი.მ. ზურაბ ანსიანი: